სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების - „გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და „გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება/დოკუმენტი არეგულირებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე: „გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და „გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის/ტურის ჩატარების წესსა და პირობებს.
2. დებულება ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას" და სხვა შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე „გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და „გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი, რომლის დარსულების შემდეგაც მას აქვს სურვილი, სწავლა განაგრძოს ზემოთ მითითებულ პროგრამებზე, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე გადის შემოქმედებით ტურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.
2. ტურში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტი გადის ელექტრონულ რეგისტრაციას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით.
3. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურში მონაწილეობის მსურველი აბიტურიენტი რეგისტრაციისას, შესაბამის სარეგისტრაციო ფორმაში, რექტორის ბრძანებით მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად ტვირთავს პორტფოლიოს, რომელიც განსაზღვრულია პროგრამაზე მიღების წინაპირობით.

4. იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
5. რეგისტრაციისას აბიტურიენტს ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ეგზავნება მას ელფოსტაზე. ზემოაღნიშნული კოდის საშუალებით აბიტურიენტს შეუძლია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ნახოს შემოქმედებითი ტურის, საპრეტენზიო განაცხადის შემთხვევაში მიღებული და საბოლოო შედეგები.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტური

1. შემოქმედებითი ტურის ჩატარებას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გამოცდა ჩატარდება რექტორის ბრძანებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.
3. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის ფარგლებში, წარმოდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე, მოწმდება კონკურსანტის კომპოზიციური აზროვნებისა და სხვადასხვა სამხატვრო მასალის გამოყენებით იდეის გადმოცემის უნარი.
4. პორტფოლიოში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ნამუშევრები (მაქსიმუმ 10 GB):

4.1. შავ-თეთრი ჩანახატები (მასალა-ფანქარი, ტუში, შავი ფლომასტერი და სხვა): მინიმუმ 5 - მაქსიმუმ 10 ჩანახატი;

4.2. ფერში შესრულებული ჩანახატები (მასალა-აკვარელი, ტემპერა, გუაში, ფერადი ფანქარი, შერეული ტექნიკა და სხვა); მინიმუმ 5 - მაქსიმუმ 10 ჩანახატი;

4.3. შავ-თეთრი გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალ თემაზე (მასალა-ფანქარი, ტუში, შავი ფლომასტერი და სხვა). მინ. 2 კომპოზიცია;

4.4. ფერში შესრულებული კომპოზიცია თავისუფალ თემაზე (მასალა - აკვარელი, ტემპერა, გუაში, ფერადი ფანქარი, შერეული ტექნიკა და სხვა). მინ. 2 კომპოზიცია;

5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე: „გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ და „გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შემოქმედებითი ტურის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად.

მუხლი 4. შემოქმედებითი ტურის შეფასება

1. პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმებია:

1.1. კომპოზიციურობის შეგრძნების უნარი – 30 ქულა;

1.2. სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად – 20 ქულა;

1.3. ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად –20 ქულა;

1.4. ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი – 30 ქულა.

		ქულა	მაქს. ქულა
1	**კომპოზიციურობის შეგრძნების უნარი**		**30**
	კომპოზიცია გამართულობა		***15***
	კომპოზიცია გამართულია, გამოსახულება სწორად არის განაწილებული სასურათე სიბრტყეზე		15
	კომპოზიცია ნაკლებად გამართულია, გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე საჭიროებს მცირედ კორექტირებას		10
	კომპოზიცია გაუმართავია, გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე საჭიროებს კორექტირებას		5
	კომპოზიციის ორიგინალურობა		***15***
	კომპოზიციში ჩანს ორიგინალური ხედვა		15
	კომპოზიცია მეტ-ნაკლებად ორიგინალურია		10
	კომპოზიცია ნაკლებად ორიგინალურია		5
	კომპოპოზიცია არ არის წარმოდგენილი		0
2	**სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად**		**20**
	სახატავი მასალების გამოყენების უნარი		***10***
	სასურველი იდეის გადმოსაცემად კარგად არის გამოყენებული სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად არასათანადოდ არის გამოყენებული სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები		5
	სახატავი მასალების ექსპერიმენტულად გამოყენების უნარი		***10***
	სასურველი იდეის გადმოსაცემად სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები ნაკლებად ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
3	**ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად**		**20**
	ფერწერული მასალების გამოყენების უნარი		***10***
	სასურველი იდეის გადმოსაცემად კარგად არის გამოყენებული ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად არასათანადოდ არის გამოყენებული ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები		5
	ფერწერული მასალების ექსპერიმენტულად გამოყენების უნარი		***10***
	სასურველი იდეის გადმოსაცემად ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		10

	სასურველი იდეის გადმოსაცემად ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები ნაკლებად ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
4	**ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი**		**30**
	ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი სახატავი მასალებით		***15***
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა კარგად არის გადმოცემული		***15***
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა ხარვეზებით არის გადმოცემული		10
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა სათანადოდ არის გადმოცემული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
	ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი ფერწერული მასალებით		***15***
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა კარგად არის გადმოცემული		***15***
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა ხარვეზებით არის გადმოცემული		10
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა სათანადოდ არის გადმოცემული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
	სულ		**100**

2. კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდაზე 51-ზე დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში, კონკურენტი გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

მუხლი 5. შემფასებელი და სააპელაციო კომისიები

1. პორტფოლიოს აფასებს შემფასებელი კომისია.
2. მე-4 მუხლით გათვალისწინებული კონკურსის და გამოცდის შეფასების მიზნით, ასევე საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი წარუდგენს კანდიდატთა სიას. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ყოველწლიურად იქმნება შემფასებელი და სააპელაციო კომისიები.
3. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული კონკურისის შეფასებაში.
4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარი.
5. კომისიის თითოთეული წევრი აფასებს კონკურსანტს ინდივიდუალურად მე-5 მუხლის 1 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური

ქულების გათვალისწინებით. კონკურსანტის საბოლოო ქულა ანგარიშდება თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.

6. იმ აბიტურიენტთა შესრულებული პორტფოლიოები, რომლებიც არ ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინახება 6 თვის განმავლობაში. 6 თვის შემდეგ პორტფოლიოები ნადგურდება, ხოლო იმ აბიტურიენტთა ნამუშევრები, რომლებიც ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინახება მათ პირად საქმეში ელექტრონული ფორმატით. აბიტურიენტს უფლება აქვს საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ გამოითხოვოს მის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიო.

მუხლი 6. საბოლოო შედეგები

1. კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე აბიტურიენტისთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდისა და შესაბამისი პირის მიერ მიღებული ქულების მითითებით.
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი შესაბამისი წლის 20 ივნისამდე ასრულებს შემოქმედებით ტურს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს და არაუგვიანეს 25 ივნისისა მიღებულ შედეგებს უგზავნის რექტორს.
3. კონკურსის შედეგების შესახებ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

დ) კონკურსზე მიღებული შეფასება

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

4. მიღებული შედეგები იგზავნება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი წლის 30 ივნისამდე.